

შპს ფარმარეა  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი  
2025 წ.


## სარჩევი

|                                                     |    |
|-----------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                  | 3  |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 4  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება            | 5  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება              | 6  |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები                       |    |
| 1 ზოგადი ინფორმაცია                                 | 7  |
| 2 წარდგენის საფუძველი                               | 7  |
| 3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა       | 8  |
| 4 ფული და ფულის ექვივალენტები                       | 13 |
| 5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                        | 13 |
| 6 სასესხო მოთხოვნები                                | 13 |
| 7 მარაგები                                          | 13 |
| 8 სხვა მოკლევადიანი აქტივები                        | 13 |
| 9 ძირითადი საშუალებები                              | 14 |
| 10 არამატერიალური აქტივები                          | 14 |
| 11 ბიოლოგიური აქტივები                              | 15 |
| 12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                    | 15 |
| 13 სასესხო ვალდებულებები                            | 16 |
| 14 საგადასახადო ვალდებულებები                       | 16 |
| 15 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                  | 16 |
| 16 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება               | 16 |
| 17 სხვა გრძელვადიანი ვალდებულება                    | 17 |
| 18 საკუთარი კაპიტალი                                | 17 |
| 19 ამონაგები                                        | 17 |
| 20 გაყიდვების თვითღირებულება                        | 17 |
| 21 დასაქმებულთა ანაზღაურება                         | 18 |
| 22 ცვეთა და ამორტიზაცია                             | 18 |
| 23 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი                   | 18 |
| 24 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                | 18 |
| 25 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები        | 19 |
| 26 მოგების გადასახადი                               | 19 |
| 27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები        | 19 |

**შპს ფარმარეა**  
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბაანსი)**  
**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>         |    | <b>შენ</b>           |                      |                      |
|--------------------------------------|----|----------------------|----------------------|----------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |    | <b>31.12.2024 წ.</b> | <b>31.12.2023 წ.</b> | <b>31.12.2022 წ.</b> |
| ძირითადი საშუალებები                 | 9  | 7,296,819            | 3,907,779            | 2,719,257            |
| არამატერიალური აქტივები              | 10 | 2,456                | 3,354                | 4,250                |
| ბიოლოგიური აქტივი                    | 11 | 2,881                | 2,881                | -                    |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>     |    | <b>7,302,156</b>     | <b>3,914,015</b>     | <b>2,723,508</b>     |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>            |    |                      |                      |                      |
| მარაგები                             | 7  | 3,639,049            | 4,035,286            | 5,152,215            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 5  | 5,570,252            | 5,430,514            | 304,431              |
| გაცემული ავანსები                    | 5  | 2,806,671            | 2,741,166            | 1,839,592            |
| სასესხო მოთხოვნები                   | 6  | -                    | -                    | 36,000               |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები         | 8  | -                    | -                    | 2,644                |
| ფული და ფულის ექვივალენტები          | 4  | 1,070,639            | 3,634,007            | 536,095              |
| სხვა მიმდინარე აქტივები              | 8  | 16,454               | 19,759               | 11,818               |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>        |    | <b>13,103,065</b>    | <b>15,860,732</b>    | <b>7,882,794</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                  |    | <b>20,405,221</b>    | <b>19,774,747</b>    | <b>10,606,301</b>    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>             |    |                      |                      |                      |
| საწესდებო კაპიტალი                   | 18 | 724,203              | -                    | -                    |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი        |    | 10,944,544           | 9,504,424            | 7,632,758            |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |    | <b>11,668,747</b>    | <b>9,504,424</b>     | <b>7,632,758</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>    |    |                      |                      |                      |
| გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები | 16 | 3,616,828            | 3,833,595            | 555,564              |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები      | 17 | (0)                  | 1,246,641            | -                    |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |    | <b>3,616,828</b>     | <b>5,080,236</b>     | <b>555,564</b>       |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>    |    |                      |                      |                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 12 | 3,961,137            | 4,922,268            | 2,291,586            |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები      | 13 | 1,146,290            | 263,554              | 33,121               |
| საგადასახადო ვალდებულებები           | 14 | (1)                  | (0)                  | 92,609               |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები      | 15 | 12,221               | 4,266                | 663                  |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |    | <b>5,119,646</b>     | <b>5,190,087</b>     | <b>2,417,980</b>     |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |    | <b>20,405,221</b>    | <b>19,774,747</b>    | <b>10,606,301</b>    |

დირექტორი:




/თემურ ცუცქირიძე/

29-09-2025 წ

შპს ფარმარეა

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| მოგება ზარალი                            | შენ | 2024 წ       | 2023 წ       |
|------------------------------------------|-----|--------------|--------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                 | 19  | 17,065,749   | 19,016,201   |
| რეალიზებული პროდუქციის თვთღირებულება     | 20  | (14,041,476) | (15,923,293) |
| მთლიანი მოგება                           |     | 3,024,274    | 3,092,908    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 19  | 43,475       | -            |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | 21  | (688,549)    | (380,278)    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | 22  | (237,985)    | (231,942)    |
| იჯარის ხარჯი                             | 24  | (20,357)     | (37,670)     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 24  | (429,529)    | (399,646)    |
| საოპერაციო ხარჯი                         |     | (1,332,945)  | (1,049,535)  |
| შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან          |     | 1,691,329    | 2,043,373    |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 23  | -            | 3,222        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი            | 25  | 492,515      | 511,614      |
| საპროცენტო ხარჯი                         | 23  | (193,256)    | (217,889)    |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                 | 25  | (544,236)    | (467,456)    |
| სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი          |     | (244,977)    | (170,508)    |
| მოგება დაბეგვრამდე                       |     | 1,446,352    | 1,872,865    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                |     | (6,232)      | (1,199)      |
| წმინდა მოგება                            |     | 1,440,120    | 1,871,666    |


დირექტორი:  /თემურ ცუცქერიძე/

29-09-2025 წ

**შპს ფარმარეა**  
**საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება**  
**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| <b>კაპიტალის მოძრაობა</b> |                               |                                 |                   |
|---------------------------|-------------------------------|---------------------------------|-------------------|
|                           | <b>საწესდებო<br/>კაპიტალი</b> | <b>გაუნაწილებელი<br/>მოგება</b> | <b>სულ</b>        |
| <b>31.12.2022 წ.</b>      | -                             | <b>7,632,758</b>                | <b>7,632,758</b>  |
| წმინდა მოგება/(ზარალი)    |                               | 1,871,666                       | 1,871,666         |
| საკუთარი კაპიტალი         | -                             |                                 | -                 |
| გადახდილი დივიდენდი       |                               |                                 | -                 |
| <b>31.12.2023 წ.</b>      | -                             | <b>9,504,424</b>                | <b>9,504,424</b>  |
| წმინდა მოგება/(ზარალი)    |                               | 1,440,120                       | 1,440,120         |
| საკუთარი კაპიტალი         | 724,203                       |                                 | 724,203           |
| გადახდილი დივიდენდი       |                               |                                 | -                 |
| <b>31.12.2024 წ.</b>      | <b>724,203</b>                | <b>10,944,544</b>               | <b>11,668,747</b> |

დირექტორი:



/თემურ ცუცქერიძე/


29-09-2025 წ

შპს ფარმარეა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფულადი სახსრების მოძრაობა                         |                    |                  |
|---------------------------------------------------|--------------------|------------------|
|                                                   | 2024 წ             | 2023 წ           |
| მომხმარებლებიდან მიღებული თანხები                 | 20,649,081         | 15,849,520       |
| მომხმარებლებზე დაბრუნებული თანხები                | (508,952)          | (284,688)        |
| მომწოდებლებზე გადახდილი თანხები                   | (20,468,546)       | (12,991,185)     |
| მომწოდებლებისგან დაბრუნებული თანხები              | 26,617             | 623,288          |
| ხელფასის ხარჯი                                    | (523,545)          | (290,698)        |
| გადახდილი ბიუჯეტში                                | (1,844,333)        | (2,554,686)      |
| დაბრუნებული ბიუჯეტიდან                            | 247,492            | 278,889          |
| მივლინების ხარჯი                                  | (13,297)           | (12,013)         |
| საპენსიო                                          | (28,730)           | (25,672)         |
| სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან     | (8,026)            | (4,306)          |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>(2,472,239)</b> | <b>588,451</b>   |
| მიღებული სესხი                                    | 1,158,155          | 3,600,000        |
| სესხის გადახდა                                    | (1,697,051)        | (963,937)        |
| სესხის % ხარჯი                                    | (768,785)          | (219,171)        |
| საბანკო ხარჯი                                     | (15,810)           | -                |
| შენატანი კაპიტალში                                | 724,203            | -                |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            | (78,210)           | (68,880)         |
| სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან      | -                  | -                |
| <b>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>    | <b>(677,499)</b>   | <b>2,348,012</b> |
| გაცემული სესხის დაბრუნება                         | -                  | 36,000           |
| მიღებული პროცენტი                                 | 586,370            | 125,449          |
| <b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>586,370</b>     | <b>161,449</b>   |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან</b> | <b>(2,563,367)</b> | <b>3,097,912</b> |
| <b>ფული წლის დასაწყისში</b>                       | <b>3,634,007</b>   | <b>536,095</b>   |
| <b>ფული წლის ბოლოს</b>                            | <b>1,070,639</b>   | <b>3,634,007</b> |

დირექტორი:  /თემურ ცუცქერიძე/

29-09-2025 წ

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარმარეა“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2016 წლის 01 სექტემბერს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 404518900

2016 წლის 01 სექტემბრიდან კომპანიის წილები იყო შემდეგნაირად:  
დავით იფხაკაძე (პ/501030033301) - 100%;

2017 წლის 01 ნოემბრიდან კომპანიის წილები იყო შემდეგნაირად:  
ლევან ჭედიშვილი (პ/562001037621) - 100%;

2022 წლის 02 ნოემბრიდან კომპანიის წილები იყო შემდეგნაირად:  
შპს სილქ როუდ ენჯინიარინგ (ს/5405373509) - 100%;

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

46610- საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით

2016 წლის 01 სექტემბრიდან კომპანიის დირექტორი იყო:  
დავითი ფხაკაძე (პ/501030033301)

2017 წლის 01 ნოემბრიდან კომპანიის დირექტორი იყო:  
ლევან ჭედიშვილი (პ/562001037621)

2021 წლის 15 თებერვლიდან მიმდინარე პერიოდამდე კომპანიის დირექტორები იყვნენ:  
ლევან ჭედიშვილი (პ/562001037621)  
ნათია გელაშვილი (პ/ნ 01028005614)

2022 წლის 02 ნოემბრიდან კომპანიის დირექტორები იყვნენ:  
თემურ ცუცქირიძე (პ/535001083491)  
ლევან ჭედიშვილი (პ/562001037621)  
ნათია გელაშვილი (პ/ნ 01028005614)

2025 წლის 7 აგვისტოდან მიმდინარე პერიოდამდე დირექტორები არიან:

თემურ ცუცქირიძე (პ/535001083491)

ნათია გელაშვილი (პ/ნ 01028005614)

## 2. წარდგენის საფუძველი

### 2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად, მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა „მსს ფასს“, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

### 2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ბიზნესი საქმიანობა საქართველოში.

### 2.3 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების „მსს ფასს“ შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

#### 3.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

#### 3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

| დასახელება        | 31 დეკემბერი 2024 წელი | 31 დეკემბერი 2023 წელი |
|-------------------|------------------------|------------------------|
| 1 აშშ დოლარი/ლარი | 2.8068                 | 2.6894                 |
| 1 ევრო/ლარი       | 2.9306                 | 2.9753                 |

2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 ლარს; 2024 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8068 ლარი, ერთი ევრო 2.9306 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

#### 3.3 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში. ფულის და ფულის ექვივალენტების ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში არსებული ფული გადაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

### 3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

### 3.5 გაცემული სესხები.

სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდელებით ან მის გარეშე, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

### 3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

### 3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მონტაჟთან, დემონტაჟთან, ტრანპორტირებასთან და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარჯებთან. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი სარგებლიანობის პერიოდის გათვალისწინებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)

მანქანები და მოწყობილობები  
საოფისე ავეჯი და ინვენტარი

5 წელი  
3-5 წელი

ძირითად საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში, როდესაც მოხდა აღიარების შეწყვეტა.

### 3.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

### 3.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### 3.10 სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

### 3.11 გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი

დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### 3.12 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

### 3.13 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი (მომსახურება) და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- ამონაგები საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები შემოვა კომპანიაში და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება „დროის პროპორციულობის“ საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### 3.14 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ

სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### 3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

### 3.16 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოჩაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების სახით ან გაწეული ხარჯების სახით, რომლებიც არ წარმოადგენენ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

### 3.17 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა მიღებული დღგ -ს ჩათვლის გათვალისწინებით. შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) საგადასახადო ვალდებულებად (მიღებული დღგ -ს ჩათვლების გათვალისწინებით).

### 3.18 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე). საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება ანგარიშგების შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

### 3.19 ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. \*

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დასახელება                        | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|-----------------------------------|---------------|---------------|---------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში       | 0             | 0             | 20            |
| ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში        | 0             | 0             | 0             |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში   | 210763        | 3070826       | 198966        |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში    | 859876        | 563181        | 337109        |
| უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში | 0             | 0             | 0             |
| ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე     | 0             | 0             | 0             |
| სულ                               | 1070639       | 3634007       | 536095        |

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული ავანსები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული ავანსები 2024 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დასახელება                               | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 5570252       | 5430113       | 304431        |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | 0             | 401           | 0             |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები         | 2806671       | 2741166       | 1839592       |
| სულ                                      | 8376923       | 8171680       | 2144023       |

6. სასესხო მოთხოვნები

კომპანიის სასესხო მოთხოვნები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება                          | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|-------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან |               |               | 36000         |
| სულ                                 | 0             | 0             | 36000         |

7. მარაგები

კომპანიის მარაგების 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება           | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|----------------------|---------------|---------------|---------------|
| საქონელი             | 3626246       | 4032145       | 5147879       |
| ნედლეული და მასალები | 12803         | 3142          | 4336          |
| სულ                  | 3639049       | 4035286       | 5152215       |

8. სხვა მოკლევადიანი აქტივები

კომპანიის სხვა მოკლევადიანი აქტივები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება                                    | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|-----------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| მისაღები პროცენტები                           | 0             | 0             | 2644          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       |               |               | 11818         |
| მიღებულ ავანსებზე გადახდილი / გადასახდელი დღგ |               |               | 0             |
| გადახდილი დღგ                                 | 16454         | 19759         | 0             |
| სულ                                           | 16454         | 19759         | 14461         |

9. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება         | მჩის ნაკვეთები | დაუმთავრებელი მშენებლობა | შენიშვნები | ნაგებობები | მანქანა-დანადგარები | ოფისის აღჭურვილობა | აგეჯი და სხვა ინვენტარი | სატრანსპორტო საშუალებები | იჯარი აღებული ქონების კეთილმოწყობა | ძირითადი საშუალებების მარაგები | სულ     |
|--------------------|----------------|--------------------------|------------|------------|---------------------|--------------------|-------------------------|--------------------------|------------------------------------|--------------------------------|---------|
| ნაშთი 01-01-2023 წ | 862877         | 22681                    | 1372726    | 0          | 160256              | 70897              | 45747                   | 175792                   | 8282                               | 0                              | 2719257 |
| შემოსვლა           | 0              | 1094483                  | 19603      | 0          | 0                   | 8685               | 272762                  | 37584                    | 0                                  | 0                              | 1433118 |
| გასვლა             | 0              | 0                        | 0          | 0          | 0                   | 0                  | 0                       | 93027                    | 0                                  | 0                              | 93027   |
| ცვეთა              | 0              | 0                        | 74111      | 0          | 33279               | 22197              | 16929                   | 4635                     | 419                                | 0                              | 151570  |
| ნაშთი 31-12-2023 წ | 862877         | 1117164                  | 1318218    | 0          | 126977              | 57385              | 301581                  | 115715                   | 7863                               | 0                              | 3907779 |
| შემოსვლა           | 0              | 3610062                  | 0          | 0          | 0                   | 20747              | 36874                   | 0                        | 0                                  | 0                              | 3667683 |
| გასვლა             | 0              | 0                        | 0          | 0          | 0                   | 8000               | 0                       | 78953                    | 8389                               | 0                              | 95342   |
| ცვეთა              | 0              | 0                        | 74432      | 0          | 33370               | 17175              | 71033                   | -12182                   | -526                               | 0                              | 183301  |
| ნაშთი 31-12-2024 წ | 862877         | 4727227                  | 1243786    | 0          | 93607               | 52957              | 267421                  | 48944                    | 0                                  | 0                              | 7296819 |

10. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება         | ლიცენზიები | სულ  |
|--------------------|------------|------|
| ნაშთი 01-01-2023 წ | 4250       | 4250 |
| შემოსვლა           | 0          | 0    |
| გასვლა             | 896        | 896  |
| ცვეთა              | 0          | 0    |
| ნაშთი 31-12-2023 წ | 3354       | 3354 |
| შემოსვლა           | 0          | 0    |
| გასვლა             | 0          | 0    |
| ცვეთა              | 899        | 899  |
| ნაშთი 31-12-2024 წ | 2456       | 2456 |

11. ბიოლოგიური აქტივები:

| დასახელება         | ბიოლოგიური აქტივი | სულ  |
|--------------------|-------------------|------|
| ნაშთი 01-01-2023 წ | 0                 | 0    |
| შემოსვლა           | 2881              | 2881 |
| გასვლა             | 0                 | 0    |
| ცვეთა              | 0                 | 0    |
| ნაშთი 31-12-2023 წ | 2881              | 2881 |
| შემოსვლა           | 0                 | 0    |
| გასვლა             | 0                 | 0    |
| ცვეთა              | 0                 | 0    |
| ნაშთი 31-12-2024 წ | 2881              | 2881 |

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დასახელება                                | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|-------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები | 1678838       | 3343035       | 299816        |
| მიღებული ავანსები                         | 2282298       | 1579232       | 1991770       |
| სულ                                       | 3961137       | 4922268       | 2291586       |

13. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| დასახელება                             | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|----------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| მოკლევადიანი სესხები                   | 812940        | 0             | 0             |
| სესხები პარტნიორებისგან                | 0             | 0             | 0             |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | 333349        | 263554        | 33121         |
| სულ                                    | 1146290       | 263554        | 33121         |

14. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება                                | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|-------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი        | 0             | 0             | 1500          |
| გაცემულ ავანსზე მიღებული წინასწარი ჩათვლა | 0             | 0             | 91110         |
| სულ                                       | 0             | 0             | 92609         |

15. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად

| დასახელება             | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|------------------------|---------------|---------------|---------------|
| საპენსიო გადასახადი    | 0             | 0             | 51            |
| გადასახდელი პროცენტები | 12221         | 4266          | 613           |
| სულ                    | 12221         | 4265          | 664           |

16. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება           | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|----------------------|---------------|---------------|---------------|
| გრძელვადიანი სესხები | 3616828       | 3833595       | 555564        |
| სულ                  | 3616828       | 3833595       | 555564        |

17. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები 2024 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

| დასახელება | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. | 31.12.2022 წ. |
|------------|---------------|---------------|---------------|
| ლიზინგი    | 0             | 1246641       | 0             |
| სულ        | 0             | 1246641       | 0             |

18. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 724203 ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც შედგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. 2024 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება და შესაბამისად მისი განაწილება.

19. ამონაგები

| დასახელება                            | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|---------------------------------------|---------------|---------------|
| შემოსავალი რეალიზიციიდან              | 17602920      | 19201791      |
| გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა | 537170        | 185591        |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები           | 43475         | 0             |
| სულ                                   | 17109224      | 19016201      |

20. გაყიდვების თვითღირებულება

| დასახელება                              | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|-----------------------------------------|---------------|---------------|
| გაყიდული/შეძენილი საქონელი              | 13979465      | 15923293      |
| სასაქონლო-მატერიალ. მარაგის კორექტირება | 62011         | 0             |
| სულ                                     | 14041476      | 15923293      |

21. დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი

| დასახელება         | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|--------------------|---------------|---------------|
| შრომის ანაზღაურება | 688549        | 380278        |
| სულ                | 688549        | 380278        |

22. ცვეთა და ამორტიზაცია

| დასახელება                      | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|---------------------------------|---------------|---------------|
| ცვეთა და ამორტიზაცია წარმოებაზე | 0             | 0             |
| ცვეთა და ამორტიზაცია            | 237985        | 231942        |
| სულ                             | 237985        | 231942        |

23. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

| დასახელება             | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|------------------------|---------------|---------------|
| საპროცენტო შემოსავლები | 0             | -3222         |
| საპროცენტო ხარჯები     | 192613        | 217889        |
| სულ                    | 192613        | 214667        |

24. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

| დასახელება                           | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|--------------------------------------|---------------|---------------|
| რეკლამის ხარჯები                     | 38341         | 24973         |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | 43637         | 36529         |
| მიწოდების სხვა ხარჯები               | 0             | 25789         |
| საპენსიო შენატანის ხარჯი             | 14450         | 9091          |
| საიჯარო ქირა                         | 20357         | 37670         |
| დაზღვევა                             | 5090          | 5217          |
| სამივლინებო ხარჯები                  | 18377         | 16657         |
| სხვა საგადასახადო ხარჯი              | 55460         | 28089         |
| კვების ხარჯი                         | 0             | 16553         |
| კომუნალური ხარჯი                     | 111515        | 71153         |
| სხვა საერთო ხარჯი                    | 142660        | 165595        |
| სულ                                  | 449886        | 437315        |

25. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

| დასახელება                    | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|-------------------------------|---------------|---------------|
| არასაოპერაციო მოგება          | 7485          | 0             |
| საკუროს სხვაობის შემოსავალი   | 431153        | 272414        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 53877         | 239200        |
| სულ                           | 492515        | 511614        |

| დასახელება                 | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|----------------------------|---------------|---------------|
| არასაოპერაციო ზარალი       | 80471         | 0             |
| საკუროს სხვაობის ხარჯი     | 387389        | 410919        |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები | 76377         | 56537         |
| სულ                        | 544236        | 467456        |

26. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. კომპანიას საანგარიშო პერიოდში განაწილებული არა აქვს მოგება შესაბამისად არ მომხდარა მოგების გადასახადის დარიცხვა.

| დასახელება         | 31.12.2024 წ. | 31.12.2023 წ. |
|--------------------|---------------|---------------|
| მოგების გადასახადი | 6232          | 1199          |
| სულ                | 6232          | 1199          |

2024 წელს მოგების გადასახადით დაიბეგრა დაუდასტურებელი ხარჯები

27. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიბდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.